უკანასკნელ წუთებში

19 ივლისს მოსკოვში სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის სამხედრო-საჰაერო ძალთა (ვვს) და თბილისის “დინამოს” გუნდები. თამაშის პირველი ნახევარი დამთავრდა ფრედ _ 1:1.

მეორე ტაიმში მოსკოველებმა ანგარიში ერთი ბურთით გაადიდეს, მაგრამ მალე ა. ზაზროშვილმა საპასუხო ბურთი გაიტანა. თამაშის უკანასკნელ წუთებში “დინამოს” კართან 11 მეტრიანი საჯარიმო დარტყმა დაინიშნა, რომელიც კარგად გამოიყენეს მოსკოველებმა და მატჩი მოიგეს ანგარიშით 3:2.

“ახალგაზრდა კომუნისტი”, 21 ივლისი, 1949 წ.